შეთანხმება 2023 წლის 22 ივნისის იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

1 აგვისტო, 2025 წ.

ერთი მხრივ, შპს აგრო მოტორსი (ს/კ: 401990093) წარმოდგენილი მისის დირექტორის აკაკი გოგსაძის სახით (პ/ნ: 09001001501) (შემდგომში ერთად - ,,მეიჯარე")

მეორე მხრივ შპს „ფუდმარტი" (ს/კ: 404460187) (შემდგომში - "ყოფილი მოიჯარე") წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი პირის ნანა ყარასაშვილის (პ/ნ 01027029346) სახით,

მესამე მხრივ, შპს ,,დეილი" (ს/კ: 406088638) (შემდგომში - „მოიჯარე ") წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი პირის ნანა ყარასაშვილის (პ/ნ 01027029346) სახით

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

ვინაიდან, 2023 წლის 22 ივნისს მეიჯარესა და ყოფილ მოიჯარეს შორის გაფორმდა არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ხელშეკრულება (შემდგომში ,,იჯარის ხელშეკრულება"), რომლითაც მეიჯარემ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით დროებით სარგებლობაში გადასცა მოიჯარეს მის.: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ქუჩა როსტევანი, N 8ა, კომერციული ფართი, სადარბაზო 2, სართული 1, 153.73 კვ.მ. (საკ. კოდი: 01.72.14.034.820.01.506) (შემდგომში ერთად - „იჯარის საგანი")

ვინაიდან, მხარეებს სურთ უცვლელი დატოვონ იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა გარდა წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული პირობისა

ამდენად მხარეები თანხმდებიან შემდეგ ზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1. 2025 წლის 01 აგვისტოდან იჯარის ხელშეკრულებაში მოიჯარე მხარედ განისაზღვროს - შპს „დეილი" (ს/კ: 406088638); შესაბამისად, 2025 წლის 01 აგვისტოდან ახალ მოჯარეზე ვრცელდება იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა.

1.2. 2025 წლის 01 აგვისტოდან იჯარის საგნით სარგებლობის ყოველთვიური ქირის ანაზღაურება მოხდება შპს „დეილი"-ს (ს/კ: 406088638) მხრიდან, მეიჯარის საბანკო ანგარიშზე: GE19TB7124336020100007.

1.3. მხარეებს ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ არანაირი პრეტენზია.

2. სხვა პირობები

2.1 წინამდებარე „შეთანხმება" ძალაში შედის 2025 წლის 1 აგვისტოდან;

2.2 წინამდებარე „შეთანხმება" წარმოადგენს 2023 წლის 22 ივნისის იჯარის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3 მხარეები ადასტურებენ რომ „შეთანხმების" შინაარსი ზუსტად გამოხატავს მათ ნებას;

2.4 ყველა ცვლილება და დამატება „შეთანხმებაში" ხდება წერილობით ფორმით;

2.5 „შეთანხმება" დადებულია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც ინახება მხარეებთან;

2.6. ხელშეკრულების და დამატებითი შეთანხმებებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.

2.7. შეთანხმების დასტურად, მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს აწერენ წინამდებარე შეთანხმებას.

მეიჯარე:

Nana Karasashvili 01027029346

Digitally signed by Nana Karasashvili
Date: 2025.08.22 13:48:43

მოიჯარე:

Nana Karasashvili

Digitally signed by Nana Karasashvili
Date: 2025.08.22

ყოფილი მოიჯარე:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №1457
თარიღი "15" აგვისტო 2025 წ.
მ.პ. რაოდენობა ... ხელმოწერა ...